ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №61528

ნომერი: AR123949

თარიღი : 16.02.2012

გაცემის თარიღი : 27.02.2012

გაცნობის თარიღი : 28.02.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდუბის ავტოსადგურიდან ქსნის ქუჩისაკენ მიმავალ სანაპიროზე, არსებულ ავტოსამრეცხაოს

დამკვეთი-განმცხადებელი

შოთა ასათიანი პ/ნ 01017011102

თბილისი ვ.ბარნოვის ქ. N 67

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი რომელიც ეხება ქ. თბილისში სექტორ–ნაძალადევში, დიდუბის ავტოსადგურიდან ქსნის ქუჩისაკენ მიმავალ სანაპიროზე, არსებულ ავტოსამრეცხაოს მიმდებარედ, შპს "ავიასაწვავსერვისი"-ს კუთვნილი შენობის ფასადის რეკონსტრუქციის და

სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის მახასიათებლების ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ–თბილისის არქიტექტურის სამსახური.

მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შპს "ავიასაწვავსერვისი"–ს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან #882011441462. 15/09/2011 წ. საკადასტრო კოდი #01/12/08/039/003; ფოტომონტაჟი; ს/ს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას მინდობილობა #02/213 15/02/2012 წელი; შპს ავიასაწვავსერვისის წერილი #08 15/02/2012 წელი), ქალაქთმშენებლობით დოკუმენტაციაში შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში სექტორ–ნაძალადევში, დიდუბის ავტოსადგურიდან ქსნის ქუჩისაკენ მიმავალ სანაპაიროზე, არსებულ ავტოსამრეცხაოს მიმდებარედ, შპს "ავიასაწვავსერვისი"-ს კუთვნილი შენობის ფასადის რეკონსტრუქციის და სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა–ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.